სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ხოსროშვილი

● № 11 (4570) ● 26 სექტემბერი ● 2018 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

ფეხბურთელი იყოს ახალი – 2018-2019 სასწავლო წელი!

166-ე საჯარო სკოლა – წარმატებას პლუს წარმატება

წესად დამკვიდრებული მიღწევები

თუ წარმატებული დასაწყისი ასევე წარმატებული დასასრულის მტკიცე საწინდარია, ცხადია, წარმატებული დასასრულიც მყარ საძირკველს უყრის წარმატებულ დასაწყისს. ასეთი „უწყვეტობა“ – როცა პროცესი, ფაქტობრივად, მთლიანად წარმატებით წარიმართება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყმაწვილების სწავლა-აღზრდის რთულსა და სათუთ, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საქმეში.

სწორედ ასე იღვწის თბილისის 166-ე საჯარო სკოლის პედაგოგთა კოლექტივი – ყოველი სასწავლო წელი გამორჩეულად წარმატებულია. ეს იმდენადა აქვთ გათავისებული, რომ სხვაგვარად ვერც წარმოუდგენიათ; ეს მათი კრედო და ყოველდღიური განუხრელი, შემოქმედებითი შრომის ლოგიკური შედეგია. ამიტომ ყოველი სასწავლო წლის წარმატებული დასასრული, მომდევნო სასწავლო წლის ასევე (ან მეტად) წარმატებულ დასაწყისს აძლევს ქანს და ა. შ.

დასტურად წინა სასწავლო წლის მრავალი წარმატებიდან რამდენიმე მოვიხმოთ.

16 მედალოსანი ჰყავდათ. თანაც, ყველა ნაღდი ოქრო: **მარიამ ბულისკერია, ლიკა ბახტურიძე, ბექა რუხაია, ანა მამულაშვილი, თამარ სულაბერიძე, ელენე სისორდია, ანა ჯანსეევერი, გიორგი ბადრიძე, ნანო ბლიაძე, გვანცა ბუზალაძე და გვანცა ჯგუშია;** ვერცხლი: **ლაშა ლომიშვილი, მანანა ღავთაძე, თამარ მიხელიძე, თორნიკე ენუქიძე და ალექსანდრე ხონელიძე.**

ეროვნულ ოლიმპიადაში (რუსული ენა) გაიმარჯვა **ირაკლი ხოჭოლავამ,** ხოლო **ნინო ბაღათურია** 26 საუკეთესოს შორის იყო. ეროვნულ ოლიმპიადაში (სხვადასხვა საგანში) წარმატებული მონაწილეობისთვის, **ბაია შარკოვა** და **სალომე კერესელიძე,** უცხო ენის გაძლიერებულად შესასწავლად, განათლების სამინისტროსა და ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ საზაფხულო სკოლაში გაიგზავნენ.

სკოლა წარმატებით მონაწილეობდა განათლების სამინისტროს პროგრამა „თავისუფალ გაკვეთილებში“. ორი გრანტიც მოიპოვა. სახელდობრ, „ხელნაკეთ ნივთებში“ (ძამას ხეობის ამსახველი ისტორიული ძეგლებისა და პანორამის მაკეტების შექმნა; ქვემიმართულება – კულტურა, ხელოვნება, ხელოვნების სახელოსნო). მოსწავლეებმა არათუ მხოლოდ დიდებული მაკეტები დაამზადეს, „ხელოვნების სახელოსნოში“ დიდებული პეიზაჟებიც დახატეს, მოზაიკური პანოებიც დაამზადეს და იკებანათიც დაამშვენეს.

„ტურიზმი ჩემს მხარეში“ (ძამას ხეობა): ქვემიმართულება – ინტელექტუალურ-შემეცნებითი, მოგზაურთა კლუბი.

ასეთი პროექტები, ცალკერძ, ყმაწვილების პატრიოტულ აღზრდას აძლიერებს, ცალკერძ კი მათი უნარ-ჩვევების, მისწრაფება-მიდრეკილებების, შესაძლებლობების გამოვლენას ძალზე უწყობს ხელს.

და დაგვირგვინებული „აკორდი“: 127 შარშანდელი კურსდამთავრებულიდან 70-მა მოსწავლემ 100 და 70 %-იანი დაფინანსებები მოიპოვა.

ვგონებ, ცხადია, რომ 166-ე სკოლაში სწავლების პროცესი მთლიანად მოიცავს მოსწავლეებს, სკოლას.

→ გაგრძელება მე-2 გვ.

პოეტები გვილოცავენ

დედათა გაგაძახილი

ენკენის თვეა! – ზარები წკრიალებენ,
მე კვლავ შენს დარაჯად ვდგავარ,
გზები მომენტრა, შენთან მოსასვლელი,
მიცან! – დაკარგული და ვარ.
ანბანი გალობს და ანბანი ზეიმობს,
დატრიალებულა ჯარა,
მშობლიურ მამულში ივერთა ხმა ისმის,
სამაჩაბლოში კი – არა!
მეც ერთი წვეთი ვარ,ცრემლის ერთი წვეთი,
დევნილად სასთუმალთან მდნარი,
ახალო თაობავ! – დედები მოგძახით:
„გაუღე ჩვენს შვილებს კარი!“

ციალ ბორცვაძე,
140-ე საჯარო სკოლის პედაგოგი(დევნილთა ოჯახიდან)

მზე და სკოლა.

დილით ადრე გავიღვიძე,
მზემ მაჩუქა სხივები,
ღვთისმშობელმა დამაბნია,
თავზე ლოცვის მძივები.

დამილოცა სკოლის გზები,
სინათლისკენ სავალი,
სამშობლო და დედა ენა,
ის რაც იყო მთავარი.

მიხარია სკოლის ზარი,
ის ღვთიური წკრიალი,
სკოლისათვის მოსწავლეთა,
მზადება და წრიალი.

სკოლის კართან პედაგოგი,
ღვთაებრივად დამდგარა,
გული უცემს სიხარულით,
უცდის ყველა პატარას.

ვეგებებით ყველა ერთად,
მზესთან არის სადარი,
სკოლა არის ცოდნის წყარო,
ცოდნის დიდი ტაძარი.

მზემ გაგვიხსნა გულის კარი,
მზემ ჩაგვხედა თვალებში,
სკოლის კარზე მიმაცილა,
დედობრივი ალერსით.

ანა მაღრაძე,
დამსახურებული ბიბლიოთეკარი

ვიწყებ ახალ ცხოვრებას

ბაღში აღარ დავდივარ,
ახლა უკვე დიდი ვარ,
ახალ ცხოვრებას ვიწყებ,
დღეს სკოლაში მივდივარ.

გამოგაწყვეს ლამაზად,
ჩანთაც როგორ მიხდება,
აწი ახალ-ახალი
ოცნებები იწყება.

ჩემი მასწავლებელი
რანდენ რამეს მასწავლის,
მეც ნასწავლი გამოვალ
ჩემი უფროს ძმასავით.

საბავშვო პოეტი
ლეილა ვადაჭკორია

→ გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

166-ე საჯარო სკოლა – წარმატებას კლუს წარმატება

პირველი გვერდიდან

წესად დამკვიდრებული მიღწევები

ამას ესთეტიკური აღზრდისათვის გამიზნული შეხვედრები დავურთოთ კომპოზიტორ ქალბატონ **რუსუდან (მაცაცო) სებისკვერაძესთან** ჩოხატაურსა და ქალბატონ **ნანი ბრეგვაძესთან** „დიდუბე-პალასში“; მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა კომპოზიტორის სიმღერები შეასრულეს, ქალბატონ ნანის რეპერტუარსაც „შებედეს“, მნიშვნელოვანი მიღწევები ფიზკულტურასა და სპორტში (სკოლას ორი სპორტული დარბაზი და ხელოვნურსაფარიანი ღია მოედანი აქვს), რისი დასტური მრავალი თასი და სიგელია და დავასკვნით, რომ 166-ე სკოლა სისხლსავსე, საინტერესო ცხოვრება ჩქეფს.

ეს კი დირექციის, პედაგოგთა დამსახურებაა. 91 მასწავლებლიდან 46 უფროსი მასწავლებელია; 6 – წამყვანი: **გალინა ქადაგიშვილი** (ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი); **ბარბარე ქებაძე** და **მარინე მაღლაფერიძე** (ისტორია); **მაია კაკაურიძე, ქეთევან ვერულიშვილი** და **მაია ბუჯიაშვილი** (მათემატიკა). **ნინო როსტომაშვილი** მუსიკაში გრიფირებული სახელმძღვანელოს თანაავტორია.

თუ სათავე ანკარაა, წყაროც სუფთა მოედინება. 166-ე სკოლის დირექტორი ქალბატონი **ირმა ომანაძეა**, მაგრამ დირექტორობა თანამდებობაა. იგი მოწოდებით, მრწამსითაა პედაგოგი, დიდებული ორგანიზატორიცაა და სწორედ ესაა უმთავრესი. მან 1991 წელს დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. 1998-2007 წლებში ასწავლიდა ქიმიას 29-ე საჯარო სკოლაში. შემდეგ – დირექტორთა შესარჩევი კონკურსი და საუკეთესოთა 20%-ში მოპოვებული ადგილი, რამაც სკოლის არჩევის საშუალება მისცა.

შტრიხი პორტრეტისათვის: ვკითხე, რატომ მაინცდამაინც 166-ე სკოლა მეთქი? ისეთ სკოლებს ვარჩევდი, სადაც ოფიციალურად დირექტორები არა ჰყავდათო, იყო პასუხი.

მაშ, ხომ აშკარაა სათავე?

კოლექტივმა ორჯერ აირჩია იგი დირექტორად. მიიჩნევს, რომ ეს დიდი ნდობაა და შესატყვისად ირჯება კიდეც – 2007 წლიდან უდგას სათავეში ამ სკოლას, ხოლო როგორი ხელმძღვანელიცაა, ამას ზემომოხმობილი მცირე ფაქტებიც ცხადყოფს.

წლეულს სკოლას კომპიუტერების ყოველმხრივ აღჭურვილ-გამართული ორი ლაბორატორია შეემატა; განახლდა ფოიე. 4 პირველი კლასი შეივსო. მსურველი გაცილებით მეტი იყო, მაგრამ მეტს სკოლა ვერ დაიტევდა. ისედაც 1200 მოსწავლეზე გათვლილ ამ სასწავლებელში 1476 შეგირდია, რაც სკოლის წარმატების, მშობლების ნდობის ცხადი დასტურია.

2013 წლიდან მოქმედებს ინტეგრირებული კლასი აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებისათვის. ასეთი 10 აღსაზრდელია. მათ ერთი ფსიქოლოგი, 2 სპეცპედაგოგი 1 საგნის მასწავლებელი და 2 დამხმარე სპეციალისტი (ძიძა) ემსახურებათ. მათ სწავლას მთლიანად განათლების სამინისტრო აფინანსებს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 16 ყმაწვილია. მათთან ერთი ფსიქოლოგი და 2 სპეცპედაგოგი მუშაობენ.

მოსწავლეთა განკარგულებაშია მდიდარი ბიბლიოთეკა – 10 ათასი წიგნი. არის მხატვრული, მეთოდური, სპეციალური ლიტერატურა. დირექტორის თქმით, მოსწავლეები ძალზე აქტიური მკითხველები არიან. წიგნადი ფონდი განუხრელად ივსება სათანადო ლიტერატურით.

ქალბატონ ირმას განათლების სამინისტროს ინიციატივებზე ვკითხე. და, თუმცა, ჯერხანობით ინიციატივები, ძირითადად, მხოლოდ იგეგმება, სკოლაში უკვე ფიქრობენ, იაზრებენ მათი ხორცშესხმის გზებსა და საშუალებებს.

ირმა ომანაძე: „იგეგმება მუშაობის გაუმჯობესება უსაფრთხო სკოლის მიმართულებით. სამინისტრო მოგვაწვდის რეკომენდაციებს, ჩვენ კი დავნერგავთ მათ, ხოლო არსებულ სიახლეებს მივუსადაგებთ. სიახლეებს ველით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართულობაშიც, რაც გააუმჯობესებს პედაგოგთა პროფესიონალურ წინსვლას. I-IV კლასებმა ახალი ეროვნული გეგმებით დაიწყო სწავლა. ახალი საგანი – „მე და საზოგადოება“ შემოიღეს, რაც ხელს შეუწყობს ყმაწვილების მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლებას, საზოგადოებაში მათს ინტეგრირებას“.

დაიწყო კიდეც ერთი სასწავლო წელი. 166-ე საჯარო სკოლა მას ტრადიციულად წარმატებული შეხვდა და ასევე ტრადიციულად წარმატებულად დაიწყო იგი. გვჯერა, უკვე წესად დამკვიდრებული მიღწევები ყოველწლიურად გაუმჯობესდება.

კონსტანტინე გურგენიძე

პირველი გვერდიდან

პოეტები გვილოცავენ

პირველი ზარი

სექტემბერო ლამაზო,
ბავშვებისთვის ზღაპარო,
სკოლის ზარი, პირველი
კი არ გამოგვაპარო!!!

ორჯერ ხუთი ათია

ველარ მივხვდი ნათია,
ორჯერ ხუთი ათია?
მგელს აქვს მჭრელი კბილები,
კატას – ბასრი თათია,
კურდღელს მარდი ფეხები,
ბაჯ-ბაჯ დადის დათვია!!!

მანანა ზაზიკაშვილი,
საბავშვო პოეტი



პირველ კლასში მივდივართ

ორი ძმა ვართ ტყუპები,
დღეს მოწყობას ვუნდებით.
მოგვიტანეს ჩანთები,
კალმები და ფანქრები.
პირველ კლასში მივდივართ,
ახლა უკვე დიდი ვართ,
მეგობრები არიან,
მივალთ, მიგვიხარია.
„დედაენა“ ორთავეს
სულ ცალ-ცალკე მოგვართვეს,
ღმერთმა მტერი გვაშოროს,
ვასახელებთ სამშობლოს!

ნაირა ნიჟარაძე,
საბავშვო პოეტი

დედაენის ძეგლთან

დედაენის ძეგლთან ახლოს მდგარი,
ვუყურებდი ქანდაკებას მშვიდად...
შემოგფიცავთ, ფიცი არის მყარი,
მშვიდობა და სიყვარული მინდა!
რას შესცქერი მაღლა, ქანდაკებავ?
რა მადლი აქვს იაკობის მელანს?!.
ამდენ ომში სული გვიკაჟდება,
მზის შუქივით გვეფინება ყველას.
დედაენავ, გადამრჩენო ერის,
ხმლით და შუბით გიცავთ შემართული,
ლექსებს ვამბობთ, თუ ქართულად ვმღერით,
გალობაა ის, შენს ლექსად თქმული!

გულნაზ ხარაიშვილი,
საბავშვო პოეტი

ნომრის სტუმარია თბილისის 113-ე ბაგა-ბაღი

ერთი წლისა უკვე ძოწინავეა

შეხვალთ და მოიხიბლებით. მისი ესთეტიკური მხარე გაგაოცებთ, „ეს თვალები რას ნახავენ სხვა უკეთეს სანახავსა!“ – წამოიძახებთ. აი, ხალისიანი ჟრიამული პატარებისა, აი, სასრიალო, საქანელა, „აჩუ-აჩუ, ცხენო!“ ასაკოვანს ასაკს დაავიწყებს: „ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ, ნეტავი!“ – წამოაძახებინებს.

შიგნით შეხვალთ და... აი, დაკრიალებული დერეფნები, ზღაპრებიდან გადმოსული პერსონაჟებითა და ნორჩთა შემოქმედებით გაჯერებული. აი, მშობელთა კუთხე, მენიუ, თემატური სტენდები, სუფთა, თვალსაჩინოებითა და ინვენტარით გაწყობილი ჯგუფები.

შარშან გაიხარეს თემქის ამ უბნის პატარებმა, მათმა მშობლებმა. **ურეკის N 4-ში** საზეიმოდ გაიხსნა ნაძალადევის რაიონის ერთ-ერთი მშვენება – **თბილისის 113-ე ბაგა-ბაღი.**

– კარგად მოვემზადეთ ახალი სასწავლო წლისათვის, – განმარტავს შემოქმედი, ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული მრავალშვილიანი დედა, ახალგაზრდა დირექტორი **ნინო ჭელიძე**, – ბაღი გავამდიდრეთ ახალი სათამაშოებით, შევავსეთ ინვენტარით, ეზოს შეემატა ახალი საქვიშე, მოკლედ, საუკეთესო პირობებია ბავშვებისათვის, კმაყოფილი არიან მშობლები. დახმარებისთვის, მხარში დგომისთვის კოლექტივის სახელით დიდი მადლობა ქალაქის მერიას, რაიონის გამგეობას, განსაკუთრებით კი – ბაგა-ბაღების სამსახურის უფროსს, ბატონ **კახა გვანცელაძეს.**

თვალში საცემია, რომ გუნდური პრინციპით, ურთიერთპატივისცემით მოღვაწეობს ბაგა-ბაღის ყველა მუშაკი. აშკარად იგრძნობა დირექტორთან, სხვა ხელმძღვანელთან შეხმატკბილებული თანამშრომლობა და სიყვარული. – ვამაყობ გამოცდილი პროფესიონალებით, ახალ კოლექტივში სწრაფად დავუმეგობრდით ერთმანეთს, – აცხადებს დირექტორი და მართლაც ასეა.

გატაცებით მოღვაწეობს დირექტორის გამოცდილი მოადგილე **ქეთევან გულიაშვილი**, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში.

მეგზურობას გვიწევს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის კოორდინატორი ანუ მეთოდისტი, ნიჭიერი, შემოქმედი **ნინო კოპაძე**. ნინომ და მისმა გამოცდილმა კოლეგამ **ჯუნა ფოლადაშვილმა** აღმზრდელ-პედაგოგებთან ერთად ნაყოფიერად იმუშავეს გასულ სასწავლო წელს. წარმატებით განხორციელდა ბაგა-ბაღის მთავარი პროექტი – **„სასკოლო მზაობის პროგრამა“.**

კარგი მუშაობის შედეგი თვალსაჩინოდ ასახულია ნორჩთა პაწია ხელებით შექმნილ სტენდებში, რომელიც გამოფენილია დერეფნებში. ყველა ჯგუფს თავისი სახელწოდება აქვს: **„ცისარტყელა“, „მერცხლები“, „ბზიკები“, „ჭიამაია“, „გვირილები“, „ციყვები“, „მტრედები“, „ვარსკვლავები“, „პეპლები“, „მზესუმზირები“.** ნორჩ შემოქმედთა ნამუშევრების იმდენი ნიმუშია წარმოდგენილი, ყველას ვერ ჩამოვთვლით. აი, ზოგიერთი მათგანი: მოგვეწონა **„ცისარტყელელთა“** ნამუშევარი – **„აფრიანი გემები“: „ნიკოლოზი“, „ობობა“, „ჭიამაიელთა“ – ტრანსპორტის სახეობები,** შუქნიშნები, გეომეტრიული ფიგურები, **„გვირილების“ წყლის სამყარო, „ციყველთა“ – სოფლის იდილია, ეზო, ქათმები, ქოხი, დარაჯი** – დასკუპებული მურია. კოლაჟი – **ფერმა** და **მისი ცხოველები**, კიდევ ბევრი რამ. ყველაფერში ანათებს ნორჩების **ნიჭიერება, უნარ-ჩვევები.**

ნინო სვანიძე, ანა ხარაიშვილი, ელისაბედ ზაქარიაძე, ფერიდე ესაძე, ირმა ბასილაია, ხათუნა გვასალია, ელისო შეყლაშვილი, თამილა ნოზაძე, ირმა ასანიძე, მაია რაზმაძე, მაია ფოფხაძე, მარინე ჯაღუმიძე, თამრიკო მეტრეველი, მაია გელაშვილი, ელისო შუბითიძე, შორენა ოშხრელი, თეა მტირალაშვილი, დიანა ნაზარაშვილი, თამარ ლავრელაშვილი, მეგი გეგეშიძე, თამარ შუბითიძე, თამილა ციმაკურიძე, როენა ჩხეიძე.

ბაგა-ბაღის ცხოვრებას ახალისებენ, ნორჩებს სულს უფაქიზებენ და ხელოვნების სიყვარულით ზრდიან: მუსიკის პედაგოგი **მაია ინდუაშვილი** და ცეკვის მასწავლებელი **დავით ხოზაშვილი.**

განსაკუთრებულია ღვაწლი: ფსიქოლოგ **ნინო სულხანიშვილისა,** ლოგოპედ **ინგა თოდუასი,** სპეც-პედაგოგ **თამარ პირველისა.**

ექთან **ნანა ჯინჭარაძის** შიშით ბაგა-ბაღს გრიპ-ინფექცია სათოფეზე ვერ ეკარება. მნე **თამარ აბაშიძის** გარეშე ბაგა-ბაღის წარმატებული ფუნქციონირება წარმოუდგენელია. ნაყოფიერად მუშაობენ საქმისმწარმოებელი **ნინო მენაბდე** და ბუღალტერი **მარიკა ბერიძე.**

ეზოში მშობლებს გავესაუბრე: ერთ-ერთმა ლექსად მიპასუხა: კერძებია იმისთანა, რომ ჩაატან თითებს თანაო. მართლაც, გამოცდილ-გემოვნებიანი მზარეულის **დალი კოჩივარის,** მისი თანაშემწეების: **ლენა ბურაშვილის, მარინე კბილაშვილის, ნანა ლიპარიშვილის** და **მარინე ხიზანიშვილის** დამზადებული კერძები ცუგრუმელებს ძალიან უყვართ.

სანიმუშოა სანიტარულ-ჰიგიენური ვითარება. დირექტორი კმაყოფილია დამლაგებლების: **ლამარა მღებრიშვილის, მარინე სიჭინავას, ირინე არეფიევას, მარი ადუაშვილის, მაია ყურაშვილის, მადონა გურგენიძის,** მრეცხავების: **ჟანა თავშავიძის, მარინე კბილაშვილის, ეთერ ნაბიჯაშვილის, ლამარა ხიდაშელის, ხათუნა თათარაშვილის** კარგი მუშაობით.

ქება-მადლობის ღირსნი არიან დარაჯები: **მალხაზ ლომსაძე,** და **იდაიად გუსეინოვი,** მეეზოვე **ლამარა გუსეინოვა,** მებაღე **მიტუშა მაჭარაშვილი**, მუშა **ანზორ კაკუბავა.**

ასეთი შეკრული, შრომისმოყვარე კოლექტივი ნიჭიერი დირექტორის **ნინო ჭელიძის** წინამძღოლობით უთუოდ დიდ წარმატებებს მოიპოვებს და სახელს მოიხვეჭს. **113-ე ბაგა-ბაღიდან სახელოვანი მამულიშვილები აფრინდებიან.**

გაიხარეთ, გაიმარჯვეთ, ბაგა-ბაღელებო!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ, 123-Ე ᲑᲐᲒᲐ-ᲑᲐᲦᲔᲚᲔᲑᲝ!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲦᲐᲚᲐᲕᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა თამაშები და აქტივობები, განათლებისა და შეფასების პროგრამა, სწავლისა და განვითარების სტანდარტები, მეტყველებისა და კომუნიკაციების უნარების ჩამოყალიბება, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნა და კიდევ ბევრი სხვა რამ, რაც პატარებისთვის სკოლამდელი განათლების პროგრამით არის გათვალისწინებული, ზედმიწევნით კარგად სრულდება თბილისის 123-ე ბაგა-ბაღში. დირექტორი **ხათუნა ახობაძე** ქუთაისის იოანე პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. წლების მანძილზე მუშაობდა პედაგოგად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში – აღმზრდელად. 2014 წლიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღების) გაერთიანების დირექტორია. 2017 წლიდან კი თბილისის 123-ე ბაგა-ბაღს ხელმძღვანელობს. იმ უზარმაზარ სამუშაოზე, რომელიც ამ მცირე დროში ჩატარდა, შენობის შესასვლელში მოწყობილი 2 ფოტო-გამოფენა მეტყველებს – რა იყო წარსულში და რა არის დღეს: მოწესრიგდა მთლიანი ინფრასტრუქტურა, სველი წერტილები, გარემონტდა და თანამედროვე ინვენტარით აღიჭურვა სამზარეულო, სამუშაოები ჩატარდა ჯგუფებსა და დერეფნებში, პატარებისთვის შეიძინეს ახალი ინვენტარი: მაგიდები, სკამები, კარადები, სათამაშოები, ძველმოდური რკინის საწოლები ახალი და კომფორტულით შეიცვალა. ამ სასწავლო წლისთვის კი შენობის სახურავი გამოცვალეს. უახლოეს გეგმაში შედის ეზო-გარემოს მოწესრიგება, ასფალტის ახალი საფარის დაგება და პანდუსის მოწყობა.

ბაგა-ბაღში ფუნქციონირებს მაღალკვალიფიცური კადრებით დაკომპლექტებული მულტიდისციპლინარული ჯგუფი: მეთოდისტი **ლია თოდრია** პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სპეციალისტია, საგანმანათლებლო სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა და ამ ბაღში 11 წელია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს უძღვება. დიაგნოსტიკისა და კვლევის საფუძველზე, ერთად ზრუნავენ ბავშვთა მოტორიკის, გონებრივი თუ ფიზიკური უნარ-ჩვევების, ლექსიკური მარაგის განვითარებაზე – ფსიქოლოგი **მარინე ლოხიშვილი-გოგუა,** რომელიც აქტიურად არის ჩართული მშობელთა კლუბში და თითოეულ ბავშვზე ინდივიდუალურ დაკვირვებას ახდენს; ლოგოპედი **ნინო მოდრეკილაძე** 3 მიმართულებით მუშაობს, კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების; საჭიროებიდან გამომდინარე – ქცევის მართვა, წინარე აკადემიური უნარების განვითარება, თუ სხვა, მოკლე და გრძელვადიანი გრაფიკის მიხედვით ურთიერთობს პატარებთან სპეც.პედაგოგი **შორენა გვათუა.**

ამჟამად ბაღში 14 ჯგუფში 490 ბავშვია. ინდივიდუალიზებულ, ბავშვზე ორიენტირებულ, თამაშზე დაფუძნებულ რჩევებსა და მიდგომებს ითვალისწინებენ სასკოლო მზაობის ჯგუფებში – **„მაუგლი“** (აღმზრდელი **ნინო ბალალაშვილი,** აღმზრდელის თანაშემწეები – **ქეთევან აბულაძე, ნინო დალაქიშვილი); „მადაგასკარი“ (ნატა ამირიძე, ელზა ანდრიაშვილი); „მზის სხივები“** (აღმზრდელები – **ეკა კვირიკეიშვილი, ნინო მესხი;** თანაშემწე **თეა ბერაძე); „მინიონები“ (თამარ ქორიძე, თამარ მჟავანაძე).** ჯგუფებში მოწყობილია აქტივობათა ცენტრები: წიგნიერება, რაოდენობა და კონსტრუქცია, მეცნიერება და ხელოვნება, კულინარია. „წელიწადის დროებსა“ და „დროის კალენდარს“ კი ბავშვები თავად უძღვებიან.

აღმზრდელები: **ნატო მაჩიტიძე, ხათუნა პეტრიაშვილი, შორენა კორკოტაძე, თეა ბედუკიძე, ნინო ედიბერიძე, ხათუნა ჩიხორია, ნონა დათუნაშვილი, მაია ოდიშვილი, ხათუნა თევზაძე, ნინო სიჭინავა, ნათია დვალი, ნინელი ჯამაგიძე** – ყურადღებით აკვირდებიან თითოეული ბავშვის განვითარების დონეს, უზრუნველყოფენ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში მათ, სრულ მონაწილეობას; ქმნიან ხალისიან და მრავალფეროვან გარემოს ბავშვების სააზროვნო, თანამშრომლობისა თუ სხვა უნარების განვითარებისათვის.

პატარებს მოვლა-პატრონობას არ აკლებენ აღმზრდელის თანაშემწეები: **ნინო ჯოღერდიშვილი, სოფო სულხანიშვილი, ირმა ჩხიკვაძე, ანა ბერძენიშვილი, შორენა მიქიაშვილი, თამარ მურაჩაშვილი, თერანე ანდრიაშვილი, ხათუნა ჭიკაძე, ნინო ბერიძე, მაია ლეჟავა, ნინო კვიჭიძე, თეა გაფრინდაშვილი, ნათია ტულუში, ფატმან აბრამიშვილი.**

დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს კოლექტივის თითოეული წევრი. ჩატარებულ სამუშაოებსა და მიღწეულ შედეგებში თავისი წვლილი შეაქვთ დირექტორის მოადგილე **ხატია ჩხიტუნიძეს, მაია ირემაძეს** (საქმის მწარმოებელი), **რუსუდან ჯოღერდიშვილს** (სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი), **ია კალანდაძეს** (თანაშემწე), **გიული მაისურაძესა** და **თამარ ნატრაძეს** (ექთნები).

პატარების შემოქმედებით, საშემოდგომო, საახალწლო თუ სხვა აქტივობებში მუსიკალური ნომრების ლამაზად წარმოდგენა მუსიკისა და ცეკვის პედაგოგების – **ქეთევან კაპანაძის, ნინო მაისურაძის** და **ინგა გომართელის** დამსახურებაა.

ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის ამ კერაში, კალორაჟის დაცვით, ჯანსაღი პროდუქტისაგან უგემრიელეს კერძებს ამზადებენ, სუფთად და ლამაზად გამოწყობილი მზარეულები: **სვეტა მჭედლიშვილი, ირმა ახობაძე, ირმა ბაჯელიძე, ლალი კვანტალიანი.**

დაუღალავი შრომის შედეგი კი თვალშისაცემია, ცეროდენებისთვის აქ ყველაფერი საუკეთესოა. **ხათუნა ახობაძე** ჩინებული ხელმძღვანელი და კარგი მეგობარია. წარმატებას სწორედ ურთიერთთანამშრომლობით და თავისი საქმის სიყვარულით მიაღწიეს. ბედნიერი და ღიმილიანი მშობლების დანახვაზე ამაში თავადაც დარწმუნდებით.

ახალ სასწავლო წელს ახალ წარმატებებს გისურვებთ!

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ

რომანტიკოსის იუბილე მე-8 საჯარო სკოლაში

ლიტერატურული საღამო ხიბლი

სსიპ აკაკი კივილაძის სახელობის თბილისის მე-8 საჯარო სკოლა, სიახლეებითა და შემოქმედებითი გეგმებით შეხვდა ახალ სასწავლო წელს. სკოლა ამაყობს თავისი წარჩინებული მოსწავლეებით და კურსდამთავრებულებით. გასული სასწავლო წელი ნაყოფიერი იყო სკოლისთვის, რაც კარგი მენეჯერისა და დირექტორის **თეონა მაისურაძის** დამსახურებაა. ქალბატონი თეონა თავდაუზოგავად იღწვის სასწავლებლის პრესტიჟის ასამაღლებლად. სკოლისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია მოსწავლეებისთვის შემოქმედებითი უნარების განვითარება, სასწავლო პროცესში რესურსების შექმნა და საინტერესო ღონისძიებების გამართვა.

სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებეს შორის აღსანიშნავია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ღვაწლმოსილი პედაგოგის **იზოლდა აბაშიძისა** და ხელოვნების პედაგოგის, საოცრად ნიჭიერი ქალბატონის **დოდო გაბესკირიას** მიერ.მე-10ბ კლასში განხორციელებული გრძელვადიანი ინტეგრირებული პროექტი, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი პოეტისა და რომანტიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლისთავს. პროექტის ფარგლებში მოსწავლეების მიერ შეიქმნა სხვადასხვა სასწავლო რესურსი: კოლაჟი **„ნ. ბარათაშვილი-200“**, ხელნაწერი წიგნი „**მწიგნობრობაი ქართული**“, ასომთავრული და მხედრული ანბანის მხატვრული ინიციალებით და **„ნ. ბარათაშვილის ფერწერული ტილო“** (ხელმძღვანელი: **დ. გაბესკირია**); ხელნაწერი წიგნი „**ნ. ბარათაშვილის ლექსები**“ (ხელმძღვანელი: **ი. აბაშიძე**).

პროექტის დასკვნით ნაწილში ქალბატონ **იზოლდა აბაშიძის** ინიციატივით მე-10ბ კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო „შენი მერანი კვლავაც რბის, მისი ნავალიც შთენილა“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ პედაგოგები, სკოლის კურსდამთავრებულები, მოსწავლეები, მშობლები და სხვები. ღონისძიებას საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდა წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, საზოგადო მოღვაწე და პატრიოტი პიროვნება **სერგო ვარდოსანიძე** და პუბლიცისტი **დავით ქორიძე**.

ლიტერატურული საღამო გაჟღენთილი იყო დიდი რომანტიკოსის სულისკვეთებით. მოსწავლეებმა გაიხსენეს ბარათაშვილის ცხოვრების გზა, ბიოგრაფია და დიდი მხატვრული ოსტატობით წაიკითხეს რომანტიკოსის ლექსები. მოსწავლეებმა, მართლაც საინტერესო ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინეს და სტუმართა დიდი შექებაც დაიმსახურეს.

ლიტერატურულ საღამოზე პოეზიის ზეიმი იგრძნობოდა.

გრძელვადიან პროექტში მონაწილეობდნენ: **სალომე აბულაძე, ნინი პაპიაშვილი, რატი მოდრეკილაძე, მარი გოგოლაური, ეთო ნალჩევანიძე, ეთუნა მაღრაძე, სალომე გაფრინდაშვილი, სანდრო ხოსიტაშვილი, ლიზი ავალიანი, მარიამ ჯელაძე, დავით გოდერიძე, ვენერა აფციაური, მარინა გოგნაძე, ნიკოლოზ ექიზაშვილი, ნათია საითიძე,ხატია არნოუპი, გიორგი მაჭარაშვილი, სანდრო ოზგებიშვილი, ელისაბედ კაპანაძე, ლიზი ხოსიტაშვილი, ლიზი ფირცხელაშვილი, ლილე თეთრაშვილი, ლუკა არჩვაძე, მანანა მუმლაძე, ნიკოლოზ ჭულუხაძე** და სხვები.

პედაგოგების თქმით, პროექტზე მუშაობისას, მოსწავლეებს გაუღვივდათ სიყვარული მშობლიური ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობისადმი, ჩამოუყალიბდათ ესთეტიკური ღირებულებისა და ფასეულობებისადმი სწორი დამოკიდებულება; განუვითარდათ კვლევა-ძიების,არგუმენტირებული მსჯელობის, მონაცემთა ანალიზისა და სინთეზის, ორგანიზებულობის, სასცენო-სამსახიობო, შემოქმედებითი და თანამშრომლობის უნარ-ჩვევები. საკუთარი ხელით მუშაობისას ეზიარნენ კოლაჟის, წიგნის შექმნის და კოპირების პროფესიულ საიდუმლოებებს.

ქალბატონი იზოლდას ინიციატივით, მე-10ბ კლასმა არაერთხელ გამოიჩინა თავი, რაც გამოიხატება ღონისძიებების მოწყობასა და სასწავლო რესურსების შექმნაში. პედაგოგის ხელმძღვანელობით, გაიმართა დიდი ილიას გრანდიოზული ღონისძიება და რუსთაველის 850 წლის იუბილე. ასევე, მოსწავლეებმა შექმნეს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი წიგნი.

სკოლაში განხორციელებული პროექტების სიმრავლე, მართლაც შექებას იმსახურებს რაც, აქაური პედკოლექტივის თავდაუზოგავი შრომის შედეგია.

გაზეთი „სახალხო განათლება+“ თბილისის მე-8 საჯარო სკოლას ულოცავს ახალ სასწავლო წელს და წარმატებებს უსურვებს.

ანანო სამელია

აღსაზრდელებს სიხარულით ეგებებიან

გაიცანით ბაგა-ბაღი „იმედი-საბურთალო“

პატარებს განახლებული ინვენტარით, სათამაშოებითა და შესაბამისი სააღმზრდელო ლიტერატურით შეხვდა ბაგა-ბაღი **„იმედი-საბურთალო“,** რომელიც მზად არის სკოლამდელი ასაკის პატარებს, თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი აღზრდა-განათლება მისცეს. ბაღი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, პატარები თავს კომფორტულად გრძნობენ და მშობლებიც იმედიანად არიან. ბაღს სათავეში უდგას კარგი ხელმძღვანელი, რაც უთუოდ დადებითად აისახება საბავშვო დაწესებულების საქმიანობაზე. ასეც არის.

ციცინო ხარაშვილი, ბაგა-ბაღი **„იმედი-საბურთლო“**-ს დირექტორი: საბავშვო დაწესებულებაში ვმუშაობ 1984 წლიდან. თავდაპირველად, 14 წლის მანძილზე აღმზრდელი ვიყავი, ხოლო შემდეგ ლოგოპედად გავაგრძელე საქმიანობა. 2000 წლიდან კი, დირექტორის პოზიციაზე ვარ. ბაღში გატარებულმა წლებმა დიდი გამოცდილება შემძინა და დამეხმარა პროფესიულ წინსვლაში. ბავშვები ძალიან მიყვარს და ეს გარემოც ჩემთვის მშობლიურია. მყავს სანიმუშო კოლექტივი. ვმუშაობთ გუნდური პრინციპით. ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია.

საბავშვო ბაღის შენობა სამ სართულიანია. ბოლო წლებში, აქ ბევრი რამ გაკეთდა ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელშეწყობით. თავდაპირველად, საბავშვო ბაღი გათვლილი იყო 4 ასაკობრივ ჯგუფზე. თუმცა, მშობელთა მომართვიანობის და აღსაზრდელთა გაზრდილი რაოდენობის გამო, დაემატა ერთი ჯგუფი. ამჟამად, 5 ასაკობრივი ჯგუფია. აქ მოწესრიგებულია ყველაფერი, გარემონტდა ჯგუფები და განახლებულია ინვენტარი. ბაღი ბიუჯეტის ფარგლებში, ეტაპობრივად, მარაგდება სათამაშოებით, სასწავლო-სააღმზრდელო ლიტერატურით და თვალსაჩინოებებით. დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა უსაფრთხოებას, ჯანსაღ გარემოს. ჯანმრთელობის და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორის კარგი მუშობის შედეგია ის, რომ სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა და კვების ორგანიზება სათანადო დონეზეა. მშობლები კმაყოფილებას გამოთქვამენ.

გასული სასწავლო წლის დასაწყისში შეიქმნა მულტიდისციპლინარული გუნდი, რომელშიც გაერთიანებული არიან ლოგოპედი. ფსიქოლოგი, სპეც. პედაგოგი, აღმზრდელები და მეთოდისტი. გუნდი აქტიურად მუშაობდა განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელებთ ან – თავდაპირველად მოეწყო აღნიშნული ბავშვების მშობლებთან შეხვედრა, გამოიყო აღსაზრდელთა სუსტი და ძლიერი მხარეები. მშობელთა თანხმობით შეივსო სპეციალური ფორმა და ჩამოყალიბდა ინდივიდუალური გეგმა, ყოველი სამი თვის განმავლობაში გუნდი იკრიბებოდა და აყალიბებდა მიზნის მიღწევის გეგმებს. სასწავლო წლის დასასრულს ლოგოპედმა შეაჯამა განვლილი მუშაობა, რითაც მშობლები კმაყოფილები დარჩნენ .

საკმაოდ ძლიერი გუნდია შეკრული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის და აღმზრდელ-პედაგოგების სახით. ყველა თანამშრომელი ორიენტირებულია ბავშვის სწორ განვითარებაზე. წარმატებით ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. აღმზრდელ-პედაგოგები წარმატებით უძღვებიან სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს. შეიქმნა სასკოლო მზაობის პროგრამა სახელწოდებით **„თ-ა-მ-ა-შ-ი“,** პროგრამის მიზანია ბავშვი ჩამოაყალიბოს წარმატებულ მოქალაქედ, გაუმკლავდეს გამოწვევებს და განუვითარდეს შემოქმედებითი აზროვნება. აღსანიშნავია, ბავშვი მოამზადოს პირველი კლასისათვის.

ციცინო ხარაშვილი: აღნიშნული პროგრამით ვხელმძღვანელობთ უკვე მეოთხე წელია, რომელიც ორიენტირებულია ბავშვების უსაფრთხოებაზე და დაფუძნებულია ძირითადად თამაშზე. სკოლამდელთა წამყვანი ქცევა არის თამაში. ეს პროგრამა ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას ყველა სფეროში. აღმზრდელები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განათლების ცენტრის ორგანიზებით გამოცხადებულ კონკურსში, ჩვენმა აღმზრდელმა **ეკა ბუაძემ** მიიღო მონაწილეობა და დაჯილდოვდა სერთიფიკატით **„მწვანე ჯილდო“.** „სასკოლო მზაობის“ პროგრამის თემებით არის გათვალისწინებილი ის ღონისძიებები, რომელსაც აწყობენ ჩვენი აღმზრდელები ბოტანიკურ ბაღსა თუ გარდენიაში, ასევე, ექსპერიმენტარიუმსა და ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში.

ტრადიციულად, ბაღში ყოველ წელს აღნიშნავენ **დაუნის სინდრომის** საერთაშორისო დღეს, **დედამიწის დღეს, წიგნის საჯაროდ კითხვის დღეს,** გრანდიოზულად აწყობენ **საახალწლო კარნავალს** და საგაზაფხულო ზეიმებს.

აქაური აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ თბილისის მერიის და საბურთალოს გამგეობის მიერ დაგეგმილ ფესტივალებში, საიდანაც სიგელებით და ჯილდოებით ხელდამშვენებულნი ბრუნდებიან.

არაერთ წარმატებას გისურვებთ!

მზია გოგოძე

ახალი მინისტრი

მიხეილ გატიაშვილი

დაბადების თარიღი: 21 ნოემბერი, 1971 (46 წლის)

კატეგორია: თანამდებობის პირი, პედაგოგი, ფსიქოლოგი

ბიოგრაფია

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი 1996 წელს.

1998-2002წწ. საქართველოს სახელმწიფო კანცელარია, ეკონომიკური რეფორმების ცენტრი (მსოფლიო ბანკის პროექტი), დირექტორის მოადგილე; 1998-2002წწ. „ბიზნეს კონსალტინგის“ დირექტორი; 2002-2004წწ. საქართველოს ანტიკორუფციული საბჭოს დირექტორის მოადგილე, ევროპის საბჭოს „გრეკოს კომიტეტი“, კომიტეტის წევრი; 2005 წლიდან სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (SAI GLOBAL) საერთაშორისო აუდიტორი; 2010 წლიდან ასოციაცია GLOBAL STAR, დამფუძნებელი; 2011-2015წწ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დეკანი;

2016 წლის ივნისიდან ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (BTU) რექტორი. გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი პუბლიკაციები, არის არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მომხსენებელი; ასევე, სხვადასხვა პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. 2018 წლის ივლისიდან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი.

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

გაგვაგონე ეგ ხმა ტკბილი!

თქვენმა კოლეგა პედაგოგებმა, საგნის სპეციალისტებმა, მეცნიერებმა, მთელმა საქართველომ მეტად გავიხარეთ, როცა ჩაგვესმა ხმა ტკბილი ქართული ენის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელახლა დაფუძნებისა (ადრე პალატა ერქვა) და თქვენი მის თავჯდომარედ დანიშვნისა.

კარგად გვახსოვს თქვენი მოღვაწეობა განათლების სისტემაში: იყავით პრაქტიკოსი მასწავლებელი ქართულისა, მეცნიერი, ლექტორი, დედაქალაქის განათლების სამმართველოს უფროსი. **გია მურღულიასა** და **ვასილ მაღლაფერიძესთან** ერთად ავტორი სახელმძღვანელოსი **„საუბრები ქართულ ლიტერატურაზე“.**

ამდენად, გვწამს, თქვენზე უკეთ ვერავინ გაუძღვება ამ დეპარტამენტს, მაგრამ თითქმის წელიწადი იწურება და, როგორც გურულები იტყვიან, დეპარტამენტიდან ბაიბური არ ისმის.

ძალიან გვაინტერესებს: **რას საქმიანობთ, როგორია თქვენი სამუშაო გეგმა, რის მიღწევას ცდილობთ, რა სირთულეები და დაბრკოლებები გელობებათ.** გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ, გვიპასუხოთ ამ კითხვებზე: **„გაგვაგონე ეგ ხმა ტკბილი, დაჰკარ გრძნობით დაირასა, კარი ენის სიყვარულის, ნუთუ მართლა დაირაზა?“**

ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლები.

პაწია რეპლიკა

გავაძლიეროთ პატრიოტული მუხტი!

ტელემუწყებელი „ობიექტივი“ სხვებთან შედარებით ყველაზე უფრო ეროვნულია, ყურებადია, უყვართ მაყურებლებს. რადგან რეპლიკა მოკლე უნდა იყოს, პირდაპირ მოგახსენებთ: სწავლის დაწყების დილას გადაცემას ჩვეული ოსტატობით უძღვებოდა მსახიობი **მერაბ ჭიქაშვილი**. მოგვილოცა, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მაინც უკმარისობის გრძნობა დაგვეუფლა. რატომ? რატომ და, სექტემბრის ზეიმის შესატყვისი „მახსოვს პირველად სასწავლებელში“-ს თემაზე არც სიმღერა მოგვასმენინა, არც – ლექსი, არც ცეკვა გვინახავს. უპირატესად უცხოური მუსიკის „ყღარუნი“ იფრქვეოდა.

სრულყოფილებით საზოგადოებრივმა არხმა თავი უფრო გამოიჩინა. გვინდა **პატრიოტული მუხტი უფრო გაძლიერდეს.** კიდევ გვინდა, რეკლამებში ხელოვნების კორიფეების: **ზაქარია ფალიაშვილის, ვანო სარაჯიშვილის, ზურაბ ანჯაფარიძის, აკაკი ხორავას** ჩართვა, რადგან ისინი თითქმის მივიწყებულნი არიან. **„ხომ ლამაზია „ობიექტივი“, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა!“**

მაყურებელი

იუმორის კუთხე

ვარიაციები მოსე მწერლის შემოქმედებიდან

იგი ეგნატე ნინოშვილისა არ გეგონოთ – ამ საუკუნის მოსე მწერალია. აგერ უკვე მეოთხე წელია, ჩვენი რედაქციის სპეცკორია გურიიდან. მამულის მაჯისცემას მიყურადებული, ზოგიერთი პოლიტოლოგივით გახლავთ: პოლიტიკოსი, რომანტიკოსი, სატირიკოსი, ისტორიკოსი, ანალიტიკოსი, კრიტიკოსი (ჰაუ, რამდენი ოსი ყოფილა?!). „ღადაობა“ გურულების დამკვიდრებული ტერმინია, იუმორის უწყინარი სახე, მაგრამ ამ ხუმრობებში მეტი მწარე სიმართლეა. ჰოდა, ამ ღადაობა-პაროდიის მახვილით ებრძვის უსამართლობას, დღევანდელობის ყოველგვარ უკეთურობას. ხომ გაგაცანით მოსე მწერალი, ახლა მისი შემოქმედებიდან რამდენიმე ნიმუში წაიკითხეთ!

პაროდიული იუმორესკა

ლაურეატობას ელოდება

მოუნდა გიგას პოეტობა. ნაკითხი და მარიფათიანი ბიჭია. ჰოდა, ლექსის წერას რა უნდაო – რიტმისა და რითმის გრძნობაა უმთავრესიო. მიდგა-მოდგა და ჟურნალ-გაზეთებში რამდენიმე ლექსი გამოუქვეყნეს, ყურადღება არავინ მიაქცია. გაახსენდა ერთი ხელმოცარული კაცი, რომელმაც, ისტორიაში რომ შესულიყო, სასახლე გადაწვა.

– აგერ არის ლიტკლუბი **„ყავა“,** – ფიქრობს გიგა, – პრეზენტაციები იმართება, კონკურსებიც, მსუყე პრემიებიც აქვთ, მაგრამ რით უნდა მივიქციომათი ყურადღება? ჰო, მართლა! საკონკურსო ნომინაციებში **საბავშვო ლექსები** ჯერ არ ყოფილა შეტანილი, მოდი ერთი **„ბასტი-ბუბუ“** გავრითმო.

ბევრი იჭყლიტა ტვინი, მაგრამ კაშკაშა რითმებს ვერ მიაგნო, ვერც რიტმი დაალაგა. გაახსენდა ერთი პოეტის ნათქვამი: **მუზა ტუალეტში მომდისო.** შევარდა და მუზამ ტუალეტიდან ამოსძახა: **„ბასტი-ბუბუ“** შეაბრუნე, შეაბრუნეო და... წყაროსავით არ წამოვიდა? **„ბუბუ-ბასტი, ბუბუ-ბასტი, მინდა გავხდე „ყავარასტი“, რომ არ მკადრონ „ფანდარასტი“, სიტყვა მასზე უფრო ხისტი“...** და ასე რაკრაკით ბოლომდე ჩავიდა. კლუბ **„ყავაზე“** ხომ უნდა ითქვას უცილოდ? უნდა ითქვას! **„კლუბი „ყავა“, კლუბი „ყავა“, „ყავამ“ თუ არ დამიყვავა, მაშინ, ვავა! კიდევ, ვავა!“**

სიახლე-ორიგინალობა? ეს ხომ **საბავშვო ლექსებია!** და, დაეპწკარა ქაღალდს ლექსები“ – **„ოცი ბუ და ოცი ბატი, რამდენია, ჩემო ფატი? დავუმატოთ ასი კვატი, აბა გამოიცან, რატი!“** რახან მუზა გაიხსნა, კიდევ „დაეპწკარა ქაღალდს ლექსები“: **„ბევრი პური, ბევრი ქადა, მომემატა ჭამის მადა, მაგრამ კუჭს რა გაუხარდა? კუჭი მალე დაავადდა“...** აჰა, სიახლე – სამედიცინო თემა! კიდევ ბევრი შეაქუჩა და გვარიანი კრებული გამოუვიდა.

პრეზენტაციაზე კრიტიკის კორიანტელს გადაურჩა, მაგრამ ორი მწვავე საყვედური მაინც აიკიდა: **სხვა პოეტის მიბაძვის ხმა გვესმისო. სექსტერმინებსა და ბილწსიტყვაობაში სერიოზულად მოიკოჭლებო.**

– საკონკურსოდ წარდგენილ მასალაში შეცდომებს გამოვასწორებო, – შეჰპირდა და...

გიგა გულისფანცქალით ელოდება „ყავას“ პრემიის-ლაურეატობას.

მოსე მწერალი,
ჟიურის არაწევრი კრიტიკოსი

ქუჩაში მოსმენილი ფრაზები

„ვისთან ვპოვო ქვეყნად სამართალია, ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია?“ (იეთიმ გურჯი).

პრეზიდენტს დღეს ისეთი უფლებები აქვს, როგორიც ჰქონდა **შევარდნაძის** დროს **პავლე გილაშვილს.**

***

– ჩვენ თბილისი რომ არ გვსურდა, ისე გაგვიინგლისურდა.

– ხომ არ გაგვიარაბულდა, გათურქ-გაგვიინდაურდა?

***

ერთსქესიანთა ქორწინებისას როგორ გავიგოთ, რომელია მამა? რომელია დედა?

***

„მაკდონალსში“ დამზადებულ კერძებს იმერულად შეკმაზული ლობიო ათჯერ მირჩევნია.

***

თუ „გირჩელები“ ჯარში არ წავლენ, საქართველო ვინ უნდა დაიცვას?

თუ ყველა უცხოეთში გაიქცა, საქართველოში ვინ უნდა იცხოვროს?

ირმა ინაშვილმა პარლამენტის სხდომაზე, როგორც იტყვიან, „ტრუბაში“, გურულად „ალაიაში“, გააძვრინა ნაცები.

დიალოგი ტელესტუდიაში

– **დავამთავრე** ვეკუას სკოლა, წავედი ამერიკაში, რომ უფრო კარგად მესწავლა ფიზიკა-მათემატიკა.

– ჩვენს დედაუნივერსიტეტში ვერ ისწავლიდი კარგად? **„არქიმედეს კანონის“** ან **„ნიუტონის ბინომის“** შინაარსი **ვაშინგტონსა** თუ **კვახჭირში** ერთიდაიგივე არ არის?

***

უსამართლობა

სადარბაზოში კარის წინ ორი მეზობელი მყავს, ცნობილი **ქირურგი,** რომელმაც ათასობით პაციენტი სიკვდილის კლანჭებს გამოსტაცა და ცნობილი **ქურდი,** რომელსაც ცხოვრებაში მოპარვისა და სალახანობის მეტი არაფერი უკეთებია. ორივეს პენსია 180 ლარი აქვს. **არის თუ არა ეს უსამართლობა?**

დასავლეთუმე ქართველთა აფორიზმები

ხალხურ ხმაზე: „დოლარი მიყვარს, ძმობილო,
დოლარი, ჩემო სესია.
დოლარზე ოცნებისასა ერთხელ
არ დამიკვნესია“.

რუსთაველის ხმაზე: „სჯობს დოლარისა მოხვეჭა,
ყოველსა მოსახვეჭელსა“.
„ხამს დოლარი დოლარისთვის,
თავს დოლარი არდამრიდად,
დოლარი მაქვს დოლარისთვის,
კვლავ დოლარი – გზად და ხიდად“

ბარათაშვილის ხმაზე: „მე მირჩევნია დოლარი,
არ მინდა **მარი** თუ **ანა,**
თუკი დოლარი მექნება,
მექნება **მარიხუანა“.**

ხბოს აღტაცება

ხშირად გაიგონებთ: თავმოყვარეობა არა აქვსო. თავმოყვარეობის დეფიციტი კი მლიქვნელობაში გადაიზრდება. მლიქვნელობა კი ღირსების შემლახველია.

ბოჩოლა რძით რომ გაიჭყიპება, მინდორში კუნტრუშს დაიწყებს, უაზროდ გაგიჟდება, ხან აქეთ მიაწყდება და ხან იქით მიეხეთქება, ტლინკაობს. ამას ეძახიან **„ხბოს აღტაცებას“!**

არ ვიცი ეს თვისება ჩვენს ხასიათში ზის თუ არა, მაგრამ... ცხადია, ამის მსგავსი, სამწუხაროდ, ხშირად გვემართება: მუდამ სხვას ვაკრიტიკებთ და საკუთარ ქცევას არ ვუკვირდებით.

„ხბოს აღტაცების“ ორი მაგალითი გავიხსენოთ, ძვირფასო მკითხველო:

– ერთი იმ საუკუნიდან, მეორე – ამ საუკუნიდან.

მაშინ რუსი მწერალი **ასტაფიევი** გვესტუმრა. გადაყვნენ მას ჩვენი მწერლები, აქეს, ადიდეს, **„დევების აუღებელი სუფრა“** გაუშალეს, ჩიტის რძე არ მოაკლეს, სამოთხის ნირვანაში აბანავეს და იქ თევზი-ციმორი დააჭერინეს. ჰოდა, რომ დაბრუნდა ასტაფიევი მოსკოვში, პასკვილი „ციმორის ჭერა“ გამოაცხო: ქართველები უსაქმურები ხართო, ღვინის ყლაპვის მეტი არაფერი იცითო, ორსული ქალივით უშველებელი ღიპი გადგათო. ამ საუკუნეში კი თურქმა მწერალმა **ორჰან ფამუქმ** ნობელის პრემია მიიღო. სტუმართმოყვარეობის მოტივით (უფრო ღრმად თუ ჩავწვდებით განაზრახს, სხვა მოტივითაც) გადაირივნენ ახალგაზრდა ქართველი მწერლები, ჩამოიყვანეს, **„პრეზენტაცია“** მოუწყეს, **„სუფრადანციაც“** ზედ მიაყოლეს.

ერთმა მწერალმა ჰკითხა „უძვირფასეს“ სტუმარს, რუსთაველის **„ვეფხისტყაოსანზე“** რას გვეტყვითო? – **არც კი მაქვს წაკითხულიო(?!)**

ახლახან ევროვიზალიბერალიზაციაზეც ხომ არ მოგეძალათ ბევრს „ხბოს აღტაცება“?

თავმოყვარეობა – ღირსებისა და არა მონური ქედმოხრის გრძნობა კარგი საქონელია, ღმერთმანი!

ლიტერატურული გვერდი

ხელოვანური საბაჭვაო ჯოქერი

ლეილა ვადაჭკორია

კვლავ გვეწვია მორიდებული ღიმილით. ასე უღიმის **ლეილა ვადაჭკორია** თავისი ლექსებით მკითხველებს, განსაკუთრებით ესიყვარულება ცეროდენებს, „ჩემს თანატოლებს“ ეძახის. მართლაც, ბევრი ბრწყინვალე ლექსი უძღვნა მათ, რომლებსაც პატარები იზეპირებენ, მღერიან. ბავშვებისთვის ნობათად ახალ კრებულს ამზადებს. არც სადიდო პოეზიაში ჩამოუვარდება ვინმეს. არ ვიცი, რედაქციაში მოტანილი ლექსები ახალ წიგნში შესატანია, თუ არა, მაგრამ ის ვიცი, ყველა მათგანი მშვენიერია, აღმაფრენით დაწერილია, „მსუქბუქფრთიანია“, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაზე დიდი ილია იტყოდა.

ილია კი იტყოდა: „გულს ჩაგეკვრის, ლაღობს, ხარობს, გამღერებს და ამღერდება“.

სწორი არჩევანი

გადავწყვიტე ბაბუ
ჩემი მომავალი,
ასტრონომი გავხდები
არ გაუვა წყალი.

გენაცვალოს ბაბუ
შენი ნება არის,
ოღონდ გააკეთე
სწორი არჩევანი.

სულ გახსოვდეს შრომას
მაშინა აქვს ფასი,
როცა კეთილ საქმეს
შეუდგება კაცი.

შეეშინდა მელიას

ტყე რომ ვჩეხეთ ურიცხვი
შიში გვიპყრობს ყველას,
სოფლად შემოგვიცვივდა
ტურა, მგელი, მელა.

ბაბუმ ძველი ბერდენა
კართან მიაყუდა,
ჩვენს ეზოშიც გამოჩნდა
ერთი მელაკუდა.

ბაბუ ცდილობს დააფრთხოს
ცაში თოფის სროლით,
მელაკუდა აღარ ჩანს
შეეშინდა მგონი.

ბებოს ნემსი დაეკარგა

ბებოს ნემსი დაეკარგა
დაფაცურდა უცებ ყველა,
აქეთ, ბელა დატრიალდა,
იქეთ, ტახტზე ეძებს ლელა.
გელა ბებოს საკერავზე
აფათურებს ხელებს ნელა,
გიგო თუმცა პატარაა
მაინც ცდილობს ბებოს შველას.
მერე ბებოს ეღიმება
გენაცვალოთ ბებიაო,
მაპატიეთ, თურმე ნემსი
გულზე დამიბნევიაო.

წუდი რჩევა

დათუნიას მივართვი
გალიაში თაფლი,
იცით, რა ქნა დათუნამ,
მომიქნია თათი.

თურმე ჩვევად ჰქონია
დათუნიას დატორვა,
ჰოდა, იჯდეს ბატონო,
გალიაში მარტოკა.

ძია ვანო

ნახე, ბებო ძია ვანომ
კანფეტები მიყიდა,
იცი, რა გრძნობა იყო
ჯიბეში რომ მიყრიდა?

უნდა გაუნაწილო
ძამიკოს და დაიკოს,
შენ მასწავლე თხილის გული
ცხრა ძმამ როგორ გაიყო.

„არდავიწყება მოყვრისა“...

თამაზ წივწივაძე უკვდავია

დაგვიანებული სამძიმრის მიზეზია ის, რომ ჩვენს გაზეთს მოსწავლეებივით სამთვიანი არდადეგები ჰქონდა ე.ი. არ გამოვდიოდით. **თამაზ წივწივაძეზე** იმდენი დაიწერა, რომ მისი პიროვნების დაფასება-დახასიათებაში ორიგინალური ვერ ვიქნებით. ბატონი თამაზის ბევრი კეთილი თვისებიდან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო **ქველმოქმედება** და **სოლიდარობა.**

ჩვენს გაზეთთან დაკავშირებით აი, ერთი ეპიზოდი: გასული საუკუნის მიწურულს განათლების სამინისტრომ გაგვწირა, ბედის ანაბარა მიგვატოვა. საშუალო დონის ფილოლოგმა (ესეც საკითხავია) **გოკა გაბაშვილმა,** რომელიც პრესსამსახურის უფროსი იყო, როგორც მგელმა კრავს, შარი მოგვდო: განათლების რეფორმას ვერ აშუქებთო. თავადაც არ ესმოდათ, რა რეფორმას ატარებდნენ.

„აუტკივარი თავის“ პრინციპით ყველა ჟურნალ-გაზეთის რედაქცია გაყუჩდა. ჩვენი გასაჭირი კი გულთან ახლოს მხოლოდ ორმა კაცმა მიიტანა: **თამაზ წივწივაძემ** და **სოსო ჭუმბურიძემ,** მაშინდელი გაზეთ **„თბილისის“** რედაქტორმა. მხარში ამოგვიდგნენ, გვამხნევებდნენ. უფრო მეტიც, ბატონმა თამაზმა **დაფინანსება** და **ხელმძღვანელობაც** კი შემოგვთავაზა, მაგრამ... ოჰ, ეს მწარე „მაგრამ!..“

ხემ დაიჩივლა: ცული ვერაფერს დამაკლებდა, მასში ჩემი ჯილაგი, ხის ტარი რომ არ ერიოსო.

ბატონმა თამაზმა წასული რედაქტორის ნაცვლად ნიჭიერი პოეტი **თენგიზ ჩალაური** გამოგვიგზავნა, მაგრამ მას ერთი ჩვენი თანამშრომელი აუხირდა და არ შემოუშვა. მალე გაირკვა, თურმე თავად უნდოდა რედაქტორობა.

ბატონი თამაზი **გოსტაშაბიშვილისდარი რაინდი იყო.** კარგა ხნის წინათ ერთ ძმის გამყიდველ და ილია ჭავჭავაძის დამამცირებელ პარლამენტარს **„სოკოცუანა“** შეარქვა და სატირის სუსხით შავი დღე აყარა. ის კაცი პარლამენტარი კარგა ხანია აღარ არის. ბატონ თამაზს გავეხუმრეთ: **„სოკოცუანა“** რატომ დაივიწყეთ, ბოლო დროს სულ არ ახსენებთო. – **წაქცეულ კაცს წიხლს როგორ ჩავაზელო,** – გვიპასუხა მოსწრებულად.

ბატონმა თამაზმა შესანიშნავად იცოდა, რომ **ერის ყველაზე დიდი მასწავლებელი არის დედაენა და მწერლობა, რომ მას ეფუძნება მთელი სისტემა განათლებისა.** ამიტომ აც ცდილობდა მასწავლებელთა გაზეთის გადარჩენას.

მუდამ მადლიერი ვიქნებით მისი. მუდამ გვემახსოვრება კეთილშობილი კაცი და დიდი კრიტიკოსი **თამაზ წივწივაძე.**

ვემშვიდობებით მას არსენა ოძელაშვილის ეპიტაფიით: **„აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!“**

გაზეთ „სახალხო განათლება+-ის“ რედაქცია

პოეტის საჩუქარი – ნამდვილ მკითხველს



ნაირა ნიჟარაძე

პოეზიის მოყვარულთ უთუოდ გაახარებთ ახალი კრებულის **„შრიალა ცაცხვი“-ს** გამოსვლა, სადაც თავმოყრილია პოეტ **ნაირა ნიჟარაძის** ახალი ლექსები. წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შედგენილი და გამოსცა გამომცემლობა „უნივერსალ“-მა. „შრიალა ცაცხვის“ სიმწყობრეზე იზრუნა რედაქტორმა, პედაგოგიკის დოქტორმა **ბორის მიშველაძემ,** რომლის დამსახურებით წიგნმა მაღალი მხატვრული ღირებულება შეიძინა. კრებული ნებისმიერი ასაკისა თუ გემოვნების მკითხველს დააკმაყოფილებს.

პოეტ **ნაირა ნიჟარაძეს** კარგად იცნობს ჩვენი გაზეთის მკითხველი. მისი ლექსები ხშირად იბეჭდება **„სახალხო განათლება+“-ში** და დიდი მოწონებით სარგებლობს. ქალბატონი ნაირას ცხოვრება და მოღვაწეობა მრავალფეროვანია, რაც მის შემოქმედებაშიც აისახება. საინტერესოა მისი ლექსების თემატიკაც. წერს პატრიოტიზმზე, დედაბუნებაზე, ბავშვებზე, ოჯახზე, მეგობრებზე, საქართველოს მთა-ბარზე, სამშობლოს გულისტკივილზე... ნაირა ნიჟარაძის სადა და თვითმყოფადი პოეზია, დიდი შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია და პოეტის გულწრფელ განწყობას გადმოსცემს. მის ლექსებში ასახულია ემიგრანტების გასაჭირი, დაცლილი სოფლები, გაყიდული მიწები... მაგრამ პოეტი, მაინც ოპტიმისტურად უყურებს მომავალს..

ლექსი „შრიალა ცახვი-ც“ განსაკუთრებით პატრიოტიზმს ეძღვნება, სადაც პოეტი ნათლად აცხადებს:

„არ წაგვართვას მიწა არვინ,
უნდა მარჯვედ დავიხარჯოთ,
ამ მშვენიერ ქვეყანაში,
ვიცოცხლოთ და გავიხაროთ“

ქალბატონი ნაირა, სოლიდური ასაკის მიუხედავად, საკმაოდ მხნედ გამოიყურება და დიდი შემართებით აგრძელებს შემოქმედებით მოღვაწეობას. ჩვენი გაზეთის მკითხველებს კი, ამჯერადაც თავის ახალ ლექსებს სთავაზობს, სადაც იგრძნობა ყოველდღიურობის საჭირბოროტო საკითხები და მისი მხატვრული ოსტატობა.

მზია გოგოძე

დღესასწაულზე

დღესასწაულზე მოიყარეს
თავი ვაჟკაცთა,
ზოგი მათგანი, სულ ახლახანს,
უკვე დაკაცდა.
ბაგრატ, მირიან, თეიმურაზ,
ლუკა და ზაზა,
ოქროპირი და ირაკლი, ხასან.
დრო დადგა ლხენის,
დიდება ენის,
და დიდებული ქართული გენის...
თქვეს სადღეგრძელო სიყვარულისა,
ერთად ყოფნისა, ოქრო-სოფლისა...
ძლიერებისა, ჭირთ ატანისა,
მარცხი ბოროტის და სატანისა!
მათთან სტუმრობდა მხნე ვეტერანი,
ვერ ერეოდა წინათ ვერავინ,
ახლა ფერმკრთალი, მისუსტებული,
სიბერისაგან იყო ვნებული.
მკერდს უმშვენებდა ორდენ-მედლები,
მას, ჭირგამოვლილს ვერ შეედრები,
იყო მამულის ომგადახდილი,
ახლა ჭაღარა, მეტად მოვლილი.
თქვა: მსურს ილხინოთ, კეთილდღეობდეთ,
მამლუქთა ბედი არა გწვეოდეთ,
არსად გეომოთ სხვის ქვეყანაში,
გეშრომოთ ზვარში, გაშლილ ყანაში.
არ დაიმარხოთ უცხოთა შორის,
აქ შეიყვარეთ ტოლი და სწორი,
უნდა გამრავლდეთ და გაიხაროთ,
საქართველოში მუდამ იდაროს!
იყავით ფხიზლად, მშვიდობით გევლოთ,
და გაიტანეთ სიმარჯვით ლელო,
გიყვარდეთ გულით სამშობლო მიწა,
სადაც აკვანი თქვენი დაირწა!..

შეიძინეთ ახალი წიგნი!



შვილებს

ახლა გაიღო სკოლის კარები,
წიგნის კარები, ცოდნის ხარებით,
რამდენი სიბრძნე შიგნით წერია,
ააღორძინეთ ცოდნით კერია.
უნდა ილხინოთ, კეთილდღეობდეთ,
მამლუქთა ბედი არა გწეოდეთ,
არსად გეომოთ სხვის ქვეყანაში,
გეშრომოთ ზვარში, გაშლილ ყანაში.
არ დაიმარხოთ უცხოთა შორის.
აქ შეიყვაროთ ტოლი და სწორი.
უნდა გამრავლდეთ და გაიხაროთ,
ჩვენს ქვეყანაში მუდამ იდაროს.
იყავით ფხიზლად, მშვიდობით გევლოთ,
და გაიტანეთ სიმარჯვით ლელო,
გიყვარდეთ გულით სამშობლო მიწა,
სადაც აკვანი თქვენი დაირწა!

სპორტი

გოჩა დავითაძეს თვალი ოლიმპიური ჩემპიონობისკენ აქვს



რთველოს მრავალი ოლიმპიური თუ მსოფლიო ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული ჰყავს. ახალგაზრდებში პოპულარობით სარგებლობენ ქართველი ფალავნები, რომლებიც გდებების ულამაზესი ილეთების შესრულებით გამოირჩევიან.

ახალგაზრდა სპორტსმენი **გოჩა დავითაძე** 1989 წელს დაიბადა. სპორტის ამ სახეობის მიმართ სიყვარული ბავშვობიდანვე გაუჩნდა მამის ზეგავლენით, რომელიც თავადაც ძველი მოჭიდავე იყო. სპორტსკოლაში მისი მწვრთნელი **ზაზა ჯიბლაძე** გახლდათ, რომელმაც ძალა და ენერგია არ დაიშურა და ასაკისთვის შესაბამის რეგიონალურ ასპარეზობებში

სპორტული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა ამ ფორმით, საფრანგეთში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა და ოლიმპიური თამაშების პროგრამაში 1896 წლიდან შევიდა. ამ სტილის ჭიდაობაში საქა-

ბიჭი წარმატებას წარმატებაზე აღწევდა. საკმაოდ პატარა ასაკში ბათუმში **ოთარ ბაკურიძის** ტურნირის ჩემპიონი გახდა. იმდროინდელი ასპარეზობების წარმატების დამადასტურებელი ბევრი მედალი

ქართველის გამარჯვებით დამთავრდა.

აზერბაიჯანში ღია პირველობის დროს, მე-2 ადგილი დაიკავა, მწვრთნელებს ძალიან მოეწონათ და დარჩენა შესთავაზეს. შემდგომი საქმი-

შრომა, მონდომება და მოთმინება სჭირდება. სავარჯიშოდ კარგი პირობები ჰქონდათ, ყველაფერი მაღალ დონეზე, რომ სპორტსმენს კარგი შედეგისთვის მიეღწია და რა თქმა უნდა, – ანაზღაურებაც. იქ კარგი სამწვრთნელო გამოცდილებაც მიიღო. ოთხწლიანი პროგრამა ირანელებთან ერ-

ილეობა. მისი მიზანი ოლიმპიური ჩემპიონობაა, ამისათვის კი თავდაუზოგავად შრომობს: „ჭიდაობა ჩემი საყვარელი საქმეა, მსიამოვნებს, რასაც ვაკეთებ და მთლიანად მასში ვარ ჩართული. მთავარი შრომა და ნებისყოფაა. ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება თანაბრად მაღალ დონეზე

ანობა ბაქოში გააგრძელა. იქ 4 წელი ცხოვრობდა. სპორტის ეს სახეობა საკმაოდ შრომატევადია, დილა-საღამოს ვარჯიში, კვებისა და დასვენების რეჟიმის დაცვა. შედეგს ბევრი

თად შეიმუშავეს – გამძლეობის, ტექნიკის, ტაქტიკის და ა.შ. რომლითაც 1 წელიწადში აზერბაიჯანმა მსოფლიო თასი მოიგო, როცა მსგავსი შემთხვევა მანამდე არ ყოფილა.

აზერბაიჯანის შემდეგ, ირანშიც იყო და ბოლოს ამერიკაში გაემგზავრა. **გოჩა დავითაძე** თავდაპირველად 63კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა, ამჟამად კი 130კგ-ში ასპარეზობს. – 1 Olimpic Plaza-ში, Colorado springs, co 80909 სისტემატურად ვარჯიშობს, დადის შეკრებებზე, სადაც მისი მწვრთნელი არის **მომირ პეტკოვიჩი.** შემდეგი წლიდან, აპირებს აქტიურად ჩაერთოს შეჯიბრებებში და 2020 წლის ოლიმპიადაში მიიღოს მოწან-

უნდა იყოს. ვარჯიშებს თუ არ შეასრულებ, შეცდომებს არ გამოასწორებ, ვერაფერს მიაღწევ. შეჯიბრებაზე გასვლას, წინ მღელვარება ახლავს. ზოგი ადვილად სძლევს ამას, ზოგი კი იმდენად ნერვიულობს, შეიძლება ვეღარაფერი გააკეთოს. მე ამის პრობლემა არა მაქვს. თუ ბევრი იშრომე და კარგ ფორმაში ხარ, თავდაჯერებულობაც გემატება, თუმცა გამართლებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.“

ახალგაზრდა სპორტსმენს საქართველოს სადიდებლად წარმატებები ვუსურვოთ და მისი შრომა დაფასებულიყოს.

ნათია გურგენიძე

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N11 (4570)
26 სექტემბერი / 2018 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედაქტორები
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 597 765 810; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული მომსახურება) 599 44 98 48;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009